



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება N79

2015 წლი 8 სექტემბერი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (მიწის ნაკვეთი), დუშეთის რაიონის სოფ. არაგვისპირში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მიმდებარედ 712 კვ.მ (ს/კ 71.63.59.279) მიწა „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას“ უსასყიდლოდ (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას“ გადასცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (მიწის ნაკვეთი), დუშეთის რაიონის სოფ. არაგვისპირში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მიმდებარედ 712 კვ.მ (ს/კ 71.63.59.279) უსასყიდლო სარგებლობაში, (უზუფრუქტის ფორმით).
2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი